# ცნობის ფურცელი

Vᵉ წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—შაბათი, 23 ოქტომბერი 1900 წ. № 1276

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".**

**ტელეფონი № 372.**



დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **შ. არაგვისპირელის**

## პირველი წიგნი

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**სადამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

---

ქართველთა ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

## მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი

ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი. (10—უ.—2)


## ახალი ამბავი

✦ დღეს, სხვა საქმეთა შორის, ტფილისის ქალაქის საბჭო განიხილავს ქალაქის გამგეობის, საფინანსო კომისიის და საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულის მომწყობ კომისიის მოხსენებას განზრახულ იუბილეის შესახებ.

როგორც ვიცით, ქალაქის საბჭოს ამ საგნის შესახებ წარსულ თვეში უკვე ჰქონდა მსჯელობა. ქალაქის საბჭომ 31 ხმის უმეტესობით, წინაალმდეგ 4 დაადგინა —საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულების აღსანიშნელად დაარსებულ იქმნას ქ. ტფილისში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი. ამასთანავე საბჭომ დაადგინა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რათა ნება მიეცეს ქალაქს გამართოს ხელის მოწერით შეგროვება შეწირულებათა ამ საგნის შესახებ ამ დადგენილებამ უკვე მოიპოვა კანონიერი ძალა. ქალაქის საბჭოს არ განუხილავს მოხსენების ის ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია გარდა კერძო და სხვა და სხვა დაწესებულებათა შეწირულებათ, ქალაქის მხრივ ყოველ წლივ ამ საქმისათვის 30 ათას მანეთის გადადების შესახებ. ქალაქის საბჭოსაგან წინად იყო დადგენილი, მიეცეს ზემოხსენებული წლიური დახმარება, უკეთუ ტფილისში დაარსდა უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი.

ამ საგნის შესახებ კომისიათა და ქალაქის გამგეობის შეერთებულს კრებაზედ სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ქალაქმა გადასდოს ოცი და ათი ათასი მანეთი ყოველ-წლიურად იმ დღიდგან, რა დღიდანაც მთავრობისაგან ნებადართულ იქმნება ტფილისში განზრახული უმაღლესი სასწავლებელი. წევრთა უმცირესობა( კი )უმეტესად გამგეობის წევრნი) იმ აზრს ემხრობოდნენ, რომ განზრახული 30 ათასი მანეთი გადასდოს ქალაქმა დღიდან სასწავლებლის დაარსებისა.

საბჭოს დღევანდელ კრებაზედ განხილულ იქმნება ორთავე მოაზრება. მკითხველებმა იციან ისიც, რომ ქალაქმა გარდა ყოველ წლიური დახმარებისა, შესწირა განზრახულ უმაღლესს მასწავლებელს 200 დესეტ. მიწა და 100 ათასი მ. 1897 წელს აქეთ თავის სარგებლით. ქალაქის შეწირულება კერძო პირთა და სხვა და სხვა დაწესებულთა შეწირულებათა ერთად შეადგენს ნახევარ მილიონზედ მეტს. („ნოვ. ობოზ.").

✦ როგორც „კვალს" შეუტყვია, ბ-ნ მ. ბალანჩივაძეს უკვე დაუმთავრებია პირველი ქართული ოპერა სახელათ „თამარ ცბიერი" („Коварная Тамара"). სიუჟეტი აღებულია აკაკის იმავე სახელის თხზულებიდან. ოპერის დაბეჭდვა უკისრნია ერთ ჩვენ ცნობილ მეამულეს.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**22 ოქტომბერი**

**ბერლინი.** ვალდერზეესაგან მოვიდა ამბავი პეკინიდან, რომ ნორმანის კალონისაგან სტახოუს აღების შემდეგ, წავიდნენ წინ ტზკეინკუენისაკენ მეორე ბატალიონი მეორე პოლკისა და ინგლისელი საპიორები მაიორი ფერსტერის უფროსობით, მათვე მიჰყვებოდნენ გენერალი ფონ-გაილი და ფლიგელ-ადიუტანტი ფონ-ბენი; 13 ოქტომბერს დიდ გალავანთან მათ დახვდათ წინააღმდეგობა; ცხარე ბრძოლის შემდეგ იერიშით აიღეს კარები, რის დროსაც ხელთ იგდეს ხუთი ზარბაზანი; მტერმა დაჰკარგა 50 მოკლული, მისი რიცხვი იყო ათას კაცამდე; მაიორი ფერსტერი და ექვსი ჯარის კაცი დაიჭრნენ, ერთიც მოკლულია. ჯარები სანაქებოთ იქცეოდნენ. გერმანიის დროშა ფრიალებს ჩინეთის დიდ გალავანზე.

**შანხაი.** აქაურმა იაპონიის ახალშენმა იდღესასწაულა იაპონიის იმპერატორის დაბადების დღეობა; ჩინეთის მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულში. გამართული იყო სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის წარმომადგენლებმა, შანჰაის ტაოტაიმ და სხვა გამოჩენილმა პირებმა. სადილის დროს ტაოტაიმ იაპონიის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა, რის პასუხად აქაურმა იაპონიის უფროსმა კონსულმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ჩინეთის იმპერატორისა. თავის სიტყვაში იაპონიის კონსულმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ჩინეთის იმპერატორი იმყოფება ამ ჟამად შორს თავის სატახტო ქალაქიდან და გამოსთქვა იმედი, რომ იმპერატორი გაიგონებს მეგობარი ერების რჩევას და მალე დაბრუნდება პეკინში, რაიცა, უეჭველია, შეესაბამება აგრეთვე მისი ერის სურვილსაც. ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სადღეგრძელოების დროს არ მოიხსენიეს ქვრივი დედოფალი.

**ლონდონი.** დეპეშა გენერალი კემპბელისა იუწყება: „18 ოქტომბერს მიველი რანკუში; დავტოვე რა პოტინფუ, გარს მოუარე, დავანგრიე ოთხი ძლიერი სიმაგრე მოკრივეებისა და მოვსპე დიდძალი იარაღი და მასალა". მას დაუჭერია დიდი რიცხვი საპალნის ჯარებისა. ავად არავინ გამხდარა.

პოლკოვნიკმა რეტილიკმა, კალონის უფროსმა, რომელიც მდინარის პირ-პირ მიდის, დაიკავა ცანპეიხოუსთან ცხრა სამხედრო ჩინური ნავი.

**ვაშინგტონი.** 1901 წლისათვის საზღვაო ხარჯების პროექტში განზრახულია აღშენება სამი სამხედრო ხომალდისა, რომლებიც თითო 15,000 ტონნს უნდა იტევდეს, ორი ჯავშნიანი კრეისერისა თითო 15,000 ტონისა, ექვსი კანო

ნერკასი თითო 2000 ტონისა, ექვსი 600 ტონისა თითო, ათი 200 ტონისა; ამას გარდა აღშენება გემებისა ქვა-ნახშირისათვის 15,000 ტონისა თითო, ერთი რემონტის გემისა 7000 ტონნისა და ერთი გადასაზიდი გემისაც. ზღვის აფიცრები ჰფიქრობენ, რომ კონგრესში ცოტა წინააღმდეგობას გაუწევენ ფლოტის ამისთანა მომატებას ერთის წლის განმაელობაში·

**ლონდონი.** დეპეშით იტყობინებიან, რომ დაჭრილმა ბურებმა, პოტჩეფსტრომში დატოვებულებმა, შეატყობინეს ბარტოუს შემდეგი: 15 ოქტომბრის ბრძოლის დროს ბურებს 140 კაცი დაუკარგავთ: დაჭრილი, მოკლული და უამბოთ დაკარგული.—პეჯეტმა 19 ოქტომბერს რუსტენბურგთან იერიში მიიტანა ბურების რაზმზედ, რომელიც მდინარე ვაალის ჩრდილოეთიდან მოდიოდა დევეტთან შესაერთებლად. მტერი განდევნილი იქმნა მაგარი პოზიციიდან. მეორე პოზიციაზედ ბურების იერიშმა გააქცია იომანრი.

**ლონდონი.** დილის გაზეთები იტყობინებიან, რომ თავადი ტუანი, ამას წინად გადაყენებული თავისი თანამდებობიდან, უცხოელთა წინააღმდეგ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის, დედოფალს ისევ დაუბარებია სინანფუში. ყველა გადაყენებულ თავადებს ხელ-ახლად მიეცათ ნება თავიანთ ულუფის მიღებისა. სამოქალაქო მმართველობისა, ფინანსთა და საბაჟო უწყებათა პრეზიდენტებად დაინიშნენ უცხოელების მტრები მანჯურები.

უცხოეთის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ მათ წარუდგინონ გვამი კანისა და თავი დასჯილი იუენსიენისა.

ჩინეთის ჯარები მონაწილეობას იღებენ პაოტინფუს ყურის გდებაში.

**პრეტორია.** კიტჩენერი რჩება სამხრეთ-აფრიკაში ინგლისის ჯარების უფროსად.

**შანჰაი.** იმპერატორის ბრძანებით ლიუკუნი და ჩანგ-ჩინტუნგი დაინიშნენ კომისსარებად მშვიდობიანობაზედ მოსალაპარაკებლად ერთად ლიხუნჩანგთან და ცინთან.

**პეტერბურგის ბირჟა 20 ოქტომბ·**

| | მყიდველთანი. | გამყიდველთანი | გაყიდვანი. |
|---|---|---|---|
| | ც ი | ნ ა | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99^1/_2$ | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $96^7/_8$ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $334^1/_2$ |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | $282^3/_4$ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | — |
| $3^1/_2$°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | $87^1/_2$ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | 93 | — | — |
| $4^1/_2$°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86 | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | $101^1/_2$ | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | 94 | — | — |
| 5°/₀°/₀ობლიგაციები ტფ.საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| $4^1/_2$°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | 85 | — | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | $8^1/_2$ კ. | |
| სუკი . . . . . | » | — 15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | — $8^1/_2$ კ. | |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორჯეთი . | 1 » | — 10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზეთი ფუნთისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » » | 3 | » |
| იგივე თორნის | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » » | 6 | » |
| » » | II | » » | 4 | » |

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: ვოგზალზე:

| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 კაპ. | | |
| ქერი . . . . . | 1— | მ. —70 კ. | | |
| სიმინდი . . . . | 1— | 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. . | 1 | 1 —20 | — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 51 | — | 10 |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 50 | — | — |
| კარტოფილი.. . . | 1 | — 55 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — 30 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . | 1 | — 23 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი მუსაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . | « | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . | « | 10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პაპუნიძე) . . | « | 20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | | |
| I ტომი . . . . . . | « | 70 |
| იგივე II ტომი . . . . . . | « | 60 |
| იგივე III ტომი . . . . . . | « | 60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . | « | 80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . . | « | 10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | « | 60 |
| იგივე II ტომი . . . . . | « | 60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | « | 60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა . . . . | « | 40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო შოტოსი . . | « | 20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . | « | 50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | « | 15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1 | 20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1 | 50 |
| რძე მისივე . . . . . . . . . . | 1 | 50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . | « | 30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . . | « | 80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . | « | 10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25°/₀ წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

# გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 1 მ. 50 | „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 | „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . | 30 | „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. ზ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.